№ 05/5
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
"08" ... 2010 წ.
010.340.000.35.149.003.058

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
## დადგენილება №35

ქ.კასპი, სტალინის ქ №68, ☎:. 8 (271) 2-20-30, 2-20-31, ს/კ 231555302

ქ. კასპი 29 12 2009 წ.

კასპის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების - გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს კასპის მუნიციპალიტეტის შემდეგი სიმბოლოები დანართის შესაბამისად:

ა) გერბი: ფარზე შუაადგილას გამოსახული გრიფონით (ფასკუნჯი) და მის ზემოთ შუაადგილას წმ. ნინოს ჯვარით. ფარის ფერი წითელი, გრიფონი (ფასკუნჯი) და წმინდა ნინოს ოქროსფერი ჯვარით. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი-სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი დახურული ჭიშკრით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია დევიზის ვერცხლლაჟვარდოვანი ბაფთა, რომლშიც შავით ჩაწერილია გერბის დევიზი - „კასპი" (დანართი №1);

ბ) დროშა: წითელი ფერის, შუაადგილას გამოსახული ოქროსფერი გრიფონით (ფასკუნჯი) და მარცხენა ზედა კუთხეში ოქროსფერი წმ. ნინოს ჯვარით (დანართი №2).

2. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ვ. ხუციშვილი

დანართი #1




კასპის მუნიციპალიტეტის
გერბი

დანართი #2



კასპის მუნიციპალიტეტის
დროშა